ყოველი მხრიდან

სილა რასისტებს

ამთელ მსოფლიოს ახსოვს, რა ფარისევლური ნიღაბი აიფარეს სამხრეთაფრიკელმა რასისტებმა იმ დღეებში, როცა მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში მათი რესპუბლიკის გუნდის მონაწილეობის საკითხი წყდებოდა. მაშინ რასისტული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ფრენკ ბრაუნმა გამოაქვეყნა ეგრეთ წოდებული „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხუთი პუნქტი", რაც შემდეგში მდგომარეობდა: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გამოიყვანს თეთრკანიანების, აფრიკელებისა და ფერადკანიანების მერეულ გუნდს; სამხრეთაფრიკელი სპორტსმენები მეხიკოში წავლენ ერთად, ერთად იცხოვრებენ, გამოვლენ ერთი ფორმითა და ერთი დროშის ქვეშ.

ახლახან ბრაუნი კვლავ გამოვიდა იოჰანესბურგში. მან მიწასთან გასწორა აფრიკული ქვეყნები და ის სხვა სახელმწიფოები, რომლებმაც ოლიმპიადაში რასისტების მონაწილეობის წინააღმდეგ გაილამქრეს.

„აღმაშფოთებელია, რომ მსოფლიომ დაუჯერა არაცივილიზებულ ეროვნებებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ველურები და ჩამორჩენილები იყვნენ თეთრკანიანების გარეშე, — გაკვიოდა ბრაუნი. — რა უფლება აქვთ მათ რაიმე უკარნახონ თავიანთ კეთილისმყოფელთ?"

დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი: რასისტული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს სასწრაფოდ დაუჭირა მხარი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფორსტერმა. ეს კაცი სულ რამდენიმე კვირის წინ ცდილობდა კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში და ამტკიცებდა: აფრიკელ სპორტსმენებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად ენიჭებათ უფლება, რომ თეთრებთან ერთად გამოვიდნენ ოლიმპიურ შეჯიბრებებში. ახლა იგი სხვაგვარად ალაპარაკდა.

„ჩვენ დავუთმეთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, როცა [illegible] ფერადკანიანები შევიყვანეთ. მაგრამ რაკი მსხვერპლი აღმოვჩნდით, [illegible] აქვს აზრი ჩვენი ნამდვილი გრძნობების დამალვას. შავკანიანისა და თეთრკანიანების ერთად გამოსვლა ერთ სარბენ ბილიკზე ან ერთ მინდორზე ეწინააღმდეგება ჩვენს სულს და კანონმდებლობას. ჩვენ ჩავატარეთ ჩვენს შეჯიბრებებს და, რა თქმა უნდა, არც ერთ შავკანიანს არ ექნება უფლება თუნდაც მიუახლოვდეს მაღალი თეთრი რასის ათლეტთა ასპარეზს", — ქადაგებს ფორსტერი.

სიტყვებს მოჰყვა კიდევ ერთი ფაქტი, რომელმაც აშკარად ამხილა რასისტების ფარისევლობა. ცნობილი ბელგიური გუნდის „სტანდარდის" კალათბურთელები მოზამბიკში მიდიოდნენ და იოჰანესბურგში შეჩერდნენ. რასისტული რეჟიმის წარმომადგენელმა მოკლევადიანი ტურისტული საგზურები მისცა ყველა ევროპელს, მაგრამ აეროპორტიდან არ გაუშვა კალათბურთელი სემ ჯემეინსი, ამერიკელი ზანგი, რომელიც ამხანაგებთან ერთად ატარებდა ქალაქის დათვალიერებას. ზანგ სპორტსმენთან ერთად სატრანზიტო დარბაზში დარჩა მთელი გუნდი.

მაგრამ განა ღირს ყურადღებად რასისტების თავხედობა, როცა მთელი მსოფლიო კმაყოფილებით შეხვდა ადამიანის უფლებათა შესახებ თეირანში გამართული საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებას? გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოწვეულმა ამ კონფერენციამ მოიწონა რეზოლუცია, რომლითაც საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებსა და ასოციაციებს ეძლევათ „დაბეჯითებული რეკომენდაცია" გარიცხონ თავიანთი შემადგენლობიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ვიდრე ამ ქვეყანაში აპარტეიდის პოლიტიკას ბოლო არ მოეღება.

კოლეგებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

სკრ

№ 134 (3618)

1968 წ. 10 ივლისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.



ᲙᲐᲕᲚᲐᲕ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲚᲘ

ერთი — მილუოკში (აშშ). ჩვეულებრივი პროფესიული ავტორბოლა. გაშარჯვებულ სპორტსმენს ათასი დოლარი ელის. სხვებთან ერთად სტარტი აიღო წარმოსადეგმა, აღარც თუ ახალგაზრდა მამაკაცმა. 39 წლის ამერიკელმა რონი დომენმა ამხანაგებს უთხრა: „მივიღებ ამ მონეტებს და თავს დავანებებ ჩვენს სახიფათო სპორტს. უკანასკნელად ვწევ რისკს".

დომენმა ვერც პირველი დაპირება შეასრულა, ვერც მეორე. სამაგიეროდ, მესამე ახდა, თუმცა არა სავსებით ისე, როგორც თავად მრბოლელს ეგონა.

ჩვეულებრივი რბოლა იყო და ყველაფერი ჩვეულებრივად ხდებოდა. მანქანებმა საათში დაახლოებით 150 კმ სიჩქარეზე განავითარეს, რონი კი ყველაზე წინ გაჭრას ცდილობდა და ვირაჟებზეც არ ამუხრუჭებდა. მანქანა წინ გავარდა, გადაბრუნდა, ალში გახვეული მაყურებლებისკენ გაფრინდა და ორი ავტომანქანა გადაიტანა თან. ორი მრბოლელი და ექვსი მაყურებელი მძიმედ დაიჭრა. დომენს აღარ დასჭირდა ექიმის დახმარება...

მეორე მსხვერპლი — ევროპაში, ბერჰტესგადენში (ავსტრია). საავტომობილო ფირმა „პორშეს" მენეჯერმა თავისი თავლის „ბიჭები" სავარჯიშოდ გამოიყვანა „სამთო ტრასებზე საერთაშორისო პრიზზე რბოლის" წინ. ცნობილი იტალიელი მრბოლელი ლუდოვიკო სკარფიოტი ფირმის ფავორიტი იყო და ამიტომ მენეჯერმა „ურჩია" მოსახვევებში სიჩქარეს არ უკლო, მანქანა საიმედოო.

სკარფიოტი ასეც მოიქცა. მან ყველა შესაძლებლობა გამოწურა ძრავას, რომლის სიმძლავრეც 270 ცხენის ძალა იყო. და უცებ მანქანას რაღაც მოუვიდა. იგრძნობოდა, რომ მრბოლელი ვეღარ იმორჩილებდა მას. აი, ავტომობილი ფლატეს მოხსნა, ხუთ მეტრზე იფრინა და ხეებზე დაეცა. სკარფიოტი საავადმყოფომდე გარდაიცვალა. როგორც დაადგინეს, მრბოლელმა მაშინ დაიპირა დამუხრუჭება, ფლატემდე 60 მეტრი რომ რჩებოდა, მაგრამ მუხრუჭი არ ამუშავდა...

შემთხვევის ბრალია? მეტისმეტად კანონზომიერი ხომ არ არის ასეთი შემთხვევითობა?

საჯარო ვაჭრობა

იტალიურმა გაზეთმა „უნიტამ" ასე დაახასიათა მოვლენა, რომელიც ქვეყნის ეროვნული ფეხბურთისთვის ნამდვილ უბედურებად იქცა. გაზეთი მკაცრად აკრიტიკებს „ფეხბურთელებით ვაჭრობას". იგი ხაზგასმით აღნიშნავს: კლუბების მეპატრონეთა მისწრაფება, რომ ევროპისა და ლათინური ამერიკის გუნდებიდან რაც შეიძლება მეტი ვარსკვლავი იყიდონ, უდიდეს ზიანს აყენებს იტალიურ ფეხბურთს, ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდას. ფეხბურთის საქმოსნების აზრით, უფრო სარფიანია მზა ვარსკვლავების მოძარაგება, რომლებიც ყიდვის-თანავე დიდ შემოსავალს იძლევიან.

გაზეთი მაგალითად ასახელებს კლუბ „იუვენტუსს". ამ კლუბში ახლა ბევრი იტალიელი და უცხოელი ვარსკვლავია თავმოყრილი, მაგრამ ფირმა „ფიატის" მეპატრონე ანიელი, რომელსაც ფაქტიურად „იუვენტუსი" ეკუთვნის, კვლავ განაგრძობს „ფეხბურთელი მონების" ყიდვას. მაგალითად, სულ ახლახან მან უზარმაზარ თანხად — 660 მილიონი ლირად იყიდა სიცილიელი თავდამსხმელი ბ. ანასტასი.

„ამ 660 მილიონზე რომ ლაპარაკობენ, — წერს „უნიტა" — ამტკიცებენ: მხოლოდ ეს ერთი ფაქტიც კი ბედნიერებას მოუტანს „ფიატის" მუშებს, რომლებიც თავიანთი გუნდის გულშემატკივრები არიანო. თუ მეტისმეტად გაუჭირდათ ცხოვრება იმ პირობებში, როცა ხელფასი კლებულობს და ფასები მატულობს, მათ მაინც დარჩებათ ერთი ნუგეში — ანასტასის ფოტოსურათით ტკბობა".

საფეხბურთო საბავშვო ბაღი

ვენეციის ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ერებროს" ადმინისტრაციამ, რომელიც ახლა „ჯუგარდენთან" (სტოკჰოლმი) და „მალმესთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონატის სტურნირო ცხრილის სათავეში დგას, ამ დღეებში ერთი შესიდევით მეტად უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: კლუბის მოღვაწეებმა გადაწყვიტეს გუნდთან გახსნან „სპეციალური საფეხბურთო საბავშვო ბაღი". ამ გადაწყვეტილების აზრი მალე გაირკვა. საქმე ისაა, რომ „ერებროს" ფეხბურთელთა ცოლები გაერთიანდნენ სპეციალურ კავშირში, რომლის მიზანიც მათი „უფლებების დაცვა". სწორედ ამ კავშირმა წარუდგინა მოთხოვნა კლუბის ადმინისტრაციას, რომ საბავშვო ბაღი გაეხსნა: ფეხბურთელთა ცოლებს ექნებათ საშუალება ამ ბაღში დატოვონ თავიანთი პატარები იმ დღეებში მაინც, როცა მათი ქმრები თამაშობენო.

„ჩვენ გვინდა ასეთ დღეებში სტადიონზე ვიყოთ და ქმრები გავამხნევოთ. საზეიმოდ ვდებთ ფიცს, რომ ისინი ჩვენი თანდასწრებით უკეთ ითამაშებენ", — განაცხადა „ცოლების კავშირმა".

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

სნაიპერები



სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში განვლილია 17 ტური. უმაღლესი ლიგის სნაიპერთა შორის ასეთი მდგომარეობაა: ყველაზე მეტი გოლი აქვთ გატანილი ბ. აბდურაიმოვს („პახტაკორი", ტაშკენტი) და ე. სტრელცოვს („ტორპედო", მოსკოვი)—10-10. როსტოველი ო. კოპაევის ანგარიშზეა 8 ბურთი, გ. ჰუსაინოვის („სპარტაკი", მოსკოვი) და რ. ატამალიანისა („ლოკომოტივი", მოსკოვი) — 7-7.

ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲒᲘᲯᲘ ᲓᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲐᲛᲓᲔ

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 8 ივლისი.

„დინამო" (ბათუმი) — „ვოლგა" (ულიანოვსკი) 0:1 (0:0).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ": კვახაძე, დიმანოვი, ქორიძე, ხაბიბულინი, ჩხაიძე, ილურიძე, აპრესიანი, კვიტაიშვილი, გიორგაძე, ოვანესიანი, ვერულიძე.

„ᲕᲝᲚᲒᲐ": პეტროვი, კორკინი, მასლოვი, ჩერლუკოვი, მონახოვი, რუჟკინი, ფასხუტდინოვი, გარუხინი, ტიკცევი, დოროფეევი, აბრამოვი.

მსაჯი ᲛᲐ. მკრტჩიანი (ერევანი).

დუბლიორები — 2:0 „ვოლგის" სასარგებლოდ.

ინტერესი, რომელსაც ახლა ბათუმის სპორტული საზოგადოებრიობა იჩენს თავისი გუნდის მიმართ, გასაგებია. აქურმა ფეხბურთელებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა და 8 ივლისის მატჩისთვის რამდენიმე ადგილით წინ გადასვლის საუკეთესო შესაძლებლობა მიიღეს: გამარჯვების შემთხვევაში ისინი ლიდერთა ჯგუფში ხვდებოდნენ.

მასპინძლებმა თამაში სწორედ გამარჯვებისთვის დაიწყეს. კოკისპირული წვიმისა და „ძმეიფ" მინდვრის მიუხედავად, ისინი ენერგიულად, სწრაფად უტევდნენ. „ვოლგის" კართან განუწყვეტლივ იქმნებოდა სახიფათო მომენტები და სწორედ მაშინ, როცა საჭირო იყო მეტი ყურადღების გამჩენა, ბათუმელთა თავდამსხმელები იბნეოდნენ და კარგავდნენ ბურთის გატანის საუკეთესო მომენტებს. მაგალითად, იყო ასეც: ილურიძის ბურთი მოიგერია პეტროვმა, აქ აღმოჩნდა ოვანესიანი, რომელმაც ცარიელ კარში ბურთი... ვერ გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისმა წარმატება სტუმრებს მოუტანა. კვახაძემ ვერ შეძლო გარუხინის ბურთის ხელში გაჩერება, ბურთს მიუსწრო ფასხუტდინოვმა და გახსნა ანგარიში.

დრო საკმარისზე მეტი იყო დარჩენილი. ბათუმელებს არ დაუკლიათ ცდა თუნდაც გაეთანაბრებინათ ანგარიში, „ვოლგის" კართან უამრავი კუთხური იქნა მოწოდებული, ბევრი კრიტიკული მომენტიც შეიქმნა, მაგრამ, საბოლოოდ, არც ერთ მათგანს შედეგი არ მოჰყოლია.

ᲛᲐ. ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ამას წინათ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საქართველოს სოფლის სკოლების მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: 60 მეტრზე მორბენალი გოგონები ფინიშთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს მოწვევით ჩვენში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელი სპორტული მუშაკების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კავშირის თავმჯდომარე ე. ბოსაკი.

საბჭოთა სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად სტუმრები განიხილავენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტული თანამშრომლობის პრობლემებს, დაათვალიერებენ ქვეყნის უდიდეს სპორტულ ნაგებობებს.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია ესტუმრება საქართველოსაც, სადაც გაეცნობა რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.



◆ ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 9 ივლისი. აქ ჩამოვიდა მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ამ დღეებში რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს შვეიცის კლუბებთან. სსრ კავშირის თასის მფლობელის შემადგენლობაშია სახელგანთქმული ლ. იაშინიც. შვედური პრესა უაღრესი კმაყოფილებით იტყობინება, რომ „დიდი რუსი მეკარე" არა მარტო კარში დადგება, არამედ შვეიცის მეკარეთა სემინარის კათედრაზეც და შეეცდება კოლეგებს თავისი ოსტატობის საიდუმლოებანი გადასცეს. სემინარი ჰალმსტადში გაიმართება.



ᲓᲔᲙᲔᲨᲐ ᲛᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ...

საქართველოს მოსწავლეთა პირველი რესპუბლიკური მაღალმთიანი ტურისტულ-ალპინისტური ლაშქრობის მონაწილეებმა გაიარეს თრუსოს ხეობა და დაიპყრეს 3400 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალი, რომელსაც უწოდეს „ლენინური კომკავშირის 50 წელი".

ლაშქრობა გრძელდება.

ლაშქრობის მონაწილეთა სახელით Დ. ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ყაზბეგი.

ტრადიციას ულალატეს

სოფლის სკოლების მძლეოსანთა პირველობა პირველად ამ რამდენიმე წლის წინათ მოეწყო საქართველოს სკრ განათლების სამინისტროსა და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ინიციატივით. ღონისძიებამ გაამართლა: ფინალური ასპარეზობის შედეგად შეარჩიეს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებმაც შემდეგ თბილისის სპორტულ სკოლა-ინტერნატში გააგრძელეს სწავლა და დოსტატება. უფრო გვიან მათგან ბევრი (გ. გუდაშვილი, კ. გორძაშვილი, ც. ჩოლიაშვილი, ა. ბაგაური და სხვ.) საქართველოს ნაკრებში ჩაირიცხა და ახლაც წარმატებით გამოდის საკავშირო სარბიელზე.

მას შემდეგ სოფლის სკოლების მძლეოსანთა რესპუბლიკური ტურნირები ტრადიციად იქცა.

წლეულს შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაციას საქართველოს სპორტკავშირმა, განათლების სამინისტრომ და „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ მოკიდეს ხელი. თბილისში, ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად მართლაც ბევრი ნორჩი მძლეოსანი შეიკრიბა. სტარტზე გამოვიდა 31 გუნდი (21 — რაიონებისა, 10 — სკოლებისა).

გადამწყვეტ შეჯიბრებას წინ უსწრებდა შიდასასკოლო, რაიონული და საოლქო ტურნირები, რომლებსაც რესპუბლიკური პირველობის ჩამტარებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ხშირად ისინი შეჯიბრებების ორგანიზატორებიც კი იყვნენ.

დებულებით, რესპუბლიკურ ტურნირში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ იმ რაიონებისა და სკოლების გუნდებს, რომლებიც შეჯიბრებებს ყველაზე უკეთ გამართავდნენ და კარგ შედეგებსაც მოიპოვებდნენ.

ღონისძიებას რესპუბლიკის ბევრ რაიონში დიდი ყურადღებით მოეკიდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზუგდიდის, ქობულეთის, ქარელის, მახარაძისა და ონის რაიონების წარმატება. მარტო ზუგდიდის რაიონში სტარტზე 500-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა. კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს (ფიზაღზრდის მასწავლებელი ო. მენაღარიშვილი), ქარელის რაიონის აგარის (გ. ლურსმანაშვილი), ლენტეხის სკოლის კოლექტივებს. მარტო ლენტეხელი მასწავლებლის ა. გუგავას აღსაზრდელებმა ამ შეჯიბრებაში 12 საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

ამასვე ვერ ვიტყვით გურჯაანის, ჩოხატაურის, ბორჯომის რაიონებზე, სადაც კარგი სტადიონებია საგრთაშორისო სტანდარტული ზომის სექტორებით. ბორჯომელებს იქნებ აპრილის წყალდიდობამ შეუშალა ხელი, მაგრამ რას იტყვიან გურჯაანისა და ჩოხატაურის რაიონების მესვეურები? სოფლის სკოლების მძლეოსანთა პირველობები არც გეგეჭკორის, მცხეთის, თელავის რაიონებში გამართულა. მეტად უხეიროდ ჩაატარეს ტურნირი გარდაბნის რაიონში. აღნიშნულ რაიონებს წარსულში კარგი ტრადიციები ჰქონდათ, ახლა კი მათ არც ტურნირების ანგარიში წარმოადგინეს, არც განაცხადები და, რა თქმა უნდა, არც სპორტსმენები გამოუგზავნიათ.

უნდა ვუსაყვედურით ლანჩხუთის, წალენჯიხის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, წალკის რაიონების სპორტკავშირებისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოებს, განათლების განყოფილებებს. მათ რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალში სასპარეზოდ არ გამოგზავნეს ის ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებმაც რაიონულ ტურნირებში გამოიჩინეს თავი და რესპუბლიკური პირველობის ორგანიზატორებმა პერსონალურად მოიწვიეს თბილისში.

გაოცებას იწვევს წითელწყაროსა და ახმეტის რაიონების მესვეურთა გულგრილობა. ახმეტაში ადრე რეგულარულად ეწყობოდა სოფლის სკოლების მძლეოსანთა რაიონული ტურნირები, თბილისში კარგად მომზადებულ გუნდსაც გზავნიდნენ და საპრიზო ადგილებსაც ისაკუთრებდნენ. წლეულს კი რესპუბლიკურ ტურნირში ამ რაიონიდან მხოლოდ ალვანის სკოლის გუნდი მონაწილეობდა. წითელწყაროს რაიონში მძლეოსნობას სათანადო ყურადღება ექცევა მხოლოდ ზემო მაჩხაანის სკოლაში.

ნ. გიგოლაშვილი.

* * *



პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები

უმცროსი ასაკი. გოგონები. რბენა 60 მ. ნ. ხომერიკი (მახარაძე, შრომა) — 8,7; **200 მ.** ნ. კარტოზია (ზუგდიდი, ახალსოფელი) — 49,8; **სიგრძეზე ხტომა.** ე. ყარდაშოვა (ქობულეთი, ჩაქვი) — 462; **სიმაღლეზე ხტომა.** რ. ქათამაძე (ქობულეთი, მუხაესტატე), ე. ნუთაშვილი (ახმეტა, ზემო ალვანი), ნ. ნათელაშვილი (დუშეთი, ანანური) — ყველა — 125; **300-გრამიანი ხელყუმბარის ტყორცნა.** ს. ცერცვაძე (ქობულეთი, მუხაესტატე) — 52,11.

ბიჭები. რბენა: 60 მ. ვ. ქაძანაია (ზუგდიდი, ახალსოფელი) — 7,6; **600 მ.** ე. ჩიკვაშვილი (ვანი), ფ. ხუფაკარია (ზუგდიდი, ახალსოფელი) — ორივე — 1.39,6; **სიგრძეზე ხტომა.** მ. აბსანძე (ზუგდიდი, ახალსოფელი) — 534; **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ნამგალაძე (მახარაძე, ცხემლისხიდი) — 160; **ბირთვის კვრა.** ბ. ქუცინაშვილი (თიანეთი) — 14,80; **1-კილოგრამიანი ბადროს ტყორცნა.** ბ. ლიპარტელიანი (ლენტეხი) — 37,47; **500-გრამიანი ხელყუმბარის ტყორცნა.** გ. გუგავა (ლენტეხი) — 58,24.

საშუალო ასაკი. გოგონები. რბენა: 100 მ. ლ. კოვალიოვა (ქობულეთი) — 13,5; **400 მ.** რ. დემჩენკო (სიღნაღი) — 1.09,0; **სიგრძეზე ხტომა.** ს. გოგრიჭიანი (მახარაძე, ცხემლისხიდი) — 489; **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ღონღაძე (ორჯონიკიძე) — 130; **ბადროს ტყორცნა.** მ. ნავერიანი (ონი) — 27,08; **ხელყუმბარის ტყორცნა.** კოვალიოვა (ქობულეთი) — 39,88; **ბირთვის კვრა.** გოგრიჭიანი — 8,90.

ვაჟები. რბენა: 100 მ. ა. ცოცხალაშვილი (თიანეთი) — 11,7; **400 მ.** გ. წყაროზია (ზუგდიდი, ახალსოფელი) — 56,8; **800 მ.** ა. ლიპარტელიანი (ლენტეხი) — 2.15,0; **სიგრძეზე ხტომა.** ცოცხალაშვილი — 588; **სიმაღლეზე ხტომა.** ტ. ორდინაძე (ონი) — 165; **1,5-კილოგრამიანი ბადროს ტყორცნა.** ვ. ქაფიაშვილი (დუშეთი, ანანური) — 37,55; **500-გრამიანი ხელყუმბარის ტყორცნა.** ქაფიაშვილი — 68, 68,52; **ბირთვის კვრა.** ქაფიაშვილი — 13,06.

* * *

ბირთვის კვრისას სურათზე აღბეჭდილი ბ. ქუცინაშვილის მოძრაობაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ხარვეზია, მაგრამ იმედია, რომ ეს ნიჭიერი ათლეტი დოსტატდება — მუყაითი წვრთნის შედეგად მისი საუცხოო მონაცემები სრულად გაიფურჩქნება.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

რაიკომის ბიუროზე იმსჯელეს

საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიუროს ამ დღეებში განიხილა რაიონის კოლმეურნეობებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხი. ბიუროს აღნიშნა, რომ ბოლო წლებში კოლმეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სპორტის პროპაგანდა. მოეწყო მარტივი ტიპის მოედნები, გამოცოცხლდა სექციების მუშაობა, სრულდება ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები, ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები და ა. შ. აღინიშნა ისიც, რომ სოფლად ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები. მაგალითად, ხიდმაღალას, ახალსოფლის, წყალწმინდის, ნიგვზიანის კოლმეურნეობებში არ სრულდება ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმები, დაბალ დონეზე დგას ფიზიკური კულტურის პროპაგანდა, იშვიათად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, სრულ წესრიგზე არ არის მოეწყო მოედნები.

რაიკომის ბიუროს დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ი. ეგრალიძე.
(ჩვენი კორ.).

ლანჩხუთი.

ფინალში გაპიდნენ ზესტაფონელები

სამტრედიის „ლოკომოტივის" სპორტულ მოედნებზე ხუთ დღეს მიმდინარეობდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება ხელბურთში.

დებულებით გათვალისწინებული 13 გუნდის ნაცვლად, აპარეზობაში რატომღაც მხოლოდ 6 გუნდი ჩაება. შეჯიბრება ჩატარდა ერთ წრედ. დებულების თანახმად, ფინალში თამაშის უფლება ეძლეოდა მხოლოდ I ადგილზე გასულ გუნდს. ეს უფლება ზესტაფონელებმა მოიპოვეს.

II ადგილზე გავიდა სამტრედიის, ხოლო III — წულუკიძის გუნდი.

ჯ. ვაშაკიძე.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.

ხელბურთი

ჩვენი ბანერი

თელავი

ახლახან აქ გაიმართა ადგილობრივი თეატრისა და სოფელ ფშავლოს ფრენბურთელთა გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს ფშავლელებმა — 2:1.

შ. ჯაფარიძე.

გულრიფში

დრანდის პიონერთა ბანაკში (უფროსი ნ. დავითაია) ხშირად იმართება სპორტული ღონისძიებები. ამ დღეებში აქ ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა სოფელ ბაბუარის საშუალო აკოლის ნორჩ ფეხბურთელებთან. ხშირად ეწყობა ტურისტული ლაშქრობები, მოჭადრაკეთა და მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებები.

შ. ჯალაღონია.

გურჯაანი

ქალაქის სტადიონზე ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ლელობურთში. I ადგილი დაიკავა ბაკურციხის კოლმეურნეობის გუნდმა (მწვრთნელი ა. ქურთიაშვილი). II ადგილზე გავიდა გურჯაანის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის კოლექტივი.

ი. ოდიშელიძე.

ოჩამჩირე

სპორტსკოლამ და „კოლმეურნის" რაისაბჭომ ჩაატარეს მოსწავლეთა რაიონული პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 17 საშუალო აკოლის 300-მდე მოსწავლე. ყველას რკინიგზის მე-15 საშუალო სკოლამ აჯობა. სოფელ კვიტოულის საშუალო სკოლის გუნდმა II ადგილი დაიკავა.

რ. ჰედია.

ზუგდიდი

დოსაფის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა პირველობა ტყვიის სროლაში. მცირეკალიბრიანი შაშხანით 13 გუნდის 82 სპორტსმენი ასპარეზობდა. გუნდური გამარჯვება სახბანეა ნაკრებმა დაიპყრო. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა შ. გორჩინაძემ (ჩარს № 1 ფაბრიკა). მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში 28 სპორტსმენს შორის ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა ჯ. ჯახუამ (სახბანკი).

ბ. ალშიბაია.

საკუთარი ძალით

ბათუმის ტყავის ქარხნის მუშამოსამსახურეებს უყვართ სპორტი. განსაკუთრებით პოპულარულია ფეხბურთი, მაგრამ მინდორი დიდხანს არ ჰქონდათ და ეს უშლიდათ ხელს. გამოსავალი ისევ ახალგაზრდებმა მონახეს — ქარხნის მახლობლად საკუთარი ძალით მოაწყვეს მინდორი და ახლა იქ ატარებენ თავისუფალ დროს — ვარჯიშობენ, მართავენ ამხანაგურ შეხვედრებს. აქ საწარმოს მორიგი პირველობაც გაიმართა.

ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში სხვა სახეობებიც კია დანერგილი. მოშაშენი, მაგალითად, „განთიადის" აჭარის საბჭოს ჩემპიონები არიან. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ფრენბურთელები, ნიჩბოსნები, მძლეოსნები, მოჭიდავეები...

ნ. გაბაიძე ბათუმისა და აჭარის არაერთგზის ჩემპიონი და „განთიადის" ცენტრალური აბჭოს პრიზიორია თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, მძლეოსანთა ამასწინანდელ საქალაქო ჩემპიონატში კი მან ბირთვის კერაში აჯობა ყველას. მექანიკური საამქროს ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, ხარატი მ. არტინიანი ფრენბურთსაც კარგად თამაშობს, აჭარის კომკავშირულ-პროფკავშირულ მძლეოსნურ საგაზაფხულო კროსში კი 800 მეტრზე პირველობა დაისაკუთრა.

ქარხანაში მუშაობენ საუკეთესო სპორტსმენები. მაგალითად, პირველთანრიგოსნები: მძლეოსანი ს. მარჩენკო, მოშაშე ა. ასატურიანი, ფეხბურთელი შ. ფირცხალაძე, ფრენბურთელები ი. რიმარი, ა. გაგუა და სხვ. ბევრი სპორტსმენი კომუნისტური შრომის დამკვრილია.

ვ. გუნინაკი.

ბათუმი.

რაკეტინი სკრინერინა

ჩვენი ბანერი რესპუბლიკებში

უაზახეთის ტურისტული მარშრუტები

ამ ზაფხულს ყაზახეთში განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა ტურისტულმა „ჯამბრთელობის მატარებლებმა". დასვენების დღეებში მათ ყარაგანდელი მუშატეები გადაკაყავთ მდინარე ნურის ნაპირებზე, უსტკამენოგორსკელი მეტალურგები — ჩერემშანკის ახლოს მდებარე ფიჭვის ტყეებში...

— ახლა ყაზახეთში 9 დიდი ტურისტული გზაა, სადაც წლის მანძილზე რესპუბლიკის 20 ათასი მუშა, მოსამსახურე და სტუდენტი ატარებს შვებულებას, — უთხრა აას-ის კორესპონდენტს ყაზახეთის ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარემ რ. შარიპოვმა. — ტურისტული გზების ქსელი გამუდმებით ფართოვდება. მაგალითად, კოტურ-ბურაკის ულამაზეს ხეობაში შენდება პანსიონატები და კემპინგები, ალათაუს მთებში — ტურბაზა „ედელვეისი", რომელიც 400 კაცს დაიტევს. ფართოვდება სხვა გზებიც. გაისად განზრახულია დამთავრდეს საქალაქო ტურბაზა-სასტუმროების მშენებლობა ყარაგანდასა და ჩიმკენტში, ალმა-ათაში, ლენინის პროსპექტზე კი შენდება ცხრასართულიანი, 500-ადგილიანი მოტელი, რომელსაც ექნება რესტორანი, ზამთრისა და საზაფხულო საცურაო აუზები, სპორტული მოედნები.



ზინაა 2.100 კილომეტრი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტისა და დოსაფის საქალაქო კომიტეტის ავტომოტოკლუბის თაოსნობით, ქარხნის 18 საუკეთესო მეტალურგი შეუდგა 11-დღიან მოგზაურობას. რევოლუციური, საბრძოლო და შრომის დიდების გზებზე. ღონისძიება კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება.

მოტოგადარბენის მონაწილენი ორჯონიკიძის, პიატიგორსკის, ნევინომისკის, კრასნოდარის, ანაპის, ნოვოროსიისკის, ტუაფსეს გავლით 2100 კილომეტრს დაფარავენ. გზადაგზა ისინი შეხვდებიან ძველ მოლშევიკებს, ომის ვეტერანებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, კომკავშირულ მუშაკებს.

ჯგუფს ხელმძღვანელობს მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. ნიკოლაიშვილი.

რ. გაბრიელიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *

ზურათზე: მოტოგადარბენის მონაწილეებმა სტარტი აიღეს.

ფოტო ავტორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფავორიტი უახლოვდება მიზანს

რომი, 8 ივლისი. დამთავრდა კალათბურთელ ქალთა ევროპული ჩემპიონატის წინასწარი თამაშები, რომლებიც სიცილიის სამ ქალაქში მიმდინარეობდა. გამოვლინდნენ ფინალისტები, რომელთაც მესინაში შეუერთდება ტურნირის მასპინძელი — იტალიის გუნდი. გადამწყვეტ ეტაპზე 7 კოლექტივი წრიული სისტემით ჩაატარებს (ჯგუფური ტურნირების შედეგები ფინალისტებს არ ეთვლებათ).

აი, როგორ წარიმართა ჯგუფებში ბოლო, მესამე კალენდარული დღის შეხვედრები და როგორია წინასწარი ასპარეზობის საბოლოო შედეგები.

კატანია. სსრ კავშირი — ჰოლანდია 91:29, ბელგია — გფრ 58:47.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	3	3	0	279—83	3
ბელგია	3	2	1	139—179	2
ჰოლანდია	3	1	2	126—181	1
გფრ	3	0	3	110—211	0

ფინალისტები: სსრ კავშირი და ბელგია.

ამ ჯგუფში განსაკუთრებული არაფერი მოშზდარა. სსრ კავშირის ნაკრებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სამივე თამაში მოიგო, ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა და ყველაზე ცოტა მიიღო. საბჭოთა კალათბურთელები აშკარად ინარჩუნებენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა ხელწერას. II ადგილი და ფინალში მონაწილეობა ბელგიის ახალგაზრდული კოლექტივისთვის უდავოდ დიდი წარმატებაა.

პალერმო. ბულგარეთი — პოლონეთი 56:47, ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი 139:56.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
პოლონეთი	3	2	1	174—158	2
ბულგარეთი	3	2	1	146—143	2
ჩეხოსლოვაკია	3	2	1	244—166	2
რუმინეთი	3	0	3	149—246	0

ფინალისტები: პოლონეთი და ბულგარეთი.

აი, ჩემპიონატის პირველი და მთავარი სენსაცია! შარშანდელი მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი — ჩეხოსლოვაკიის გუნდი ფინალური ტურნირის მიღმა დარჩა. ახლა ჩეხოსლოვაკიელებს უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ VIII ადგილზე შეუძლიათ ფიქრი. რატომ დარჩა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები III ადგილზე — მას ხომ გატანილი და მიღებული ბურთების საუცხოო სხვაობა აქვს (+78)?

ეს ასეა, მაგრამ როცა ფინალში გასვლის პრეტენზიას ერთნაირი ქულებით რამდენიმე გუნდი აცხადებს, მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი ურთიერთმაჩვენებლები. ჩეხოსლოვაკიელთა დადებითი ბალანსი უმთავრესად „აშენებულია“ რუმინელების ხარჯზე, ეს უკანასკნელნი კი ფინალში გასვლაზე არავითარ პრეტენზიას არ აცხადებდნენ. პოლონელებმა I ადგილი დაისაკუთრეს, რადგან მათი სხვაობა შეადგენს +5-ს. II ადგილზე არიან ბულგარელები (0) და მხოლოდ III — ჩეხოსლოვაკიელები (—5).

რაგუზა. უნგრეთი — საფრანგეთი 48:47, იუგოსლავია — გფრ 66:50.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
იუგოსლავია	3	3	0	193—149	3
გფრ	3	2	1	172—161	2
უნგრეთი	3	1	2	140—170	1
საფრანგეთი	3	0	3	149—174	0

ფინალისტები: იუგოსლავია და გფრ.

ამ ჯგუფშიც ყველაფერი უკონფლიქტოდ ჩათავდა. იუგოსლავიის ნაკრებმა საბჭოთა კალათბურთელების მსგავსად ყველა წინასწარი მატჩი მოიგო. მზარდი ოსტატობა გამოავლინეს გფრ-ის კალათბურთელებმაც, ერთ დროს ძლიერი უნგრეთის გუნდი კი ჯერ კიდევ კრიზისს განიცდის. ამიტომ მისი III ადგილი ისევე კანონზომიერია, როგორც გერმანელთა გასვლა ფინალში.

„მოსაწყენი“ თემებიდან

რატომ არ ვისაუბრეთ „ბ“ კლასზე?

სპეციალური ვარჯიში მოქნილობის გამოსამუშავებლად საჭიროა იმიტომაც, რომ ფეხბურთელის თამაშს სჭირდება აკრობატიკის ელემენტები, განსაკუთრებით კი ურთულესი ტექნიკური ილეთების, ყველა ამ საფეხბურთო „ულტრა-სის“ შესრულების, დარტყმის, აკრობატული ნახტომებისა და დავარდნის დროს. შლიჯდომის, ნახევრადშლიჯდომის, ყირამალის, ფეხებში ჩავარდნის (ესენიც საჭიროა) სწავლა კი მხოლოდ ცალ-ცალკე და სპეციალური ვარჯიშების დახმარებით შეიძლება.

ჩვენში ცოტას ვარჯიშობენ შტანგით და გასატენი ბურთებით. შტანგას კიდევ ნახავს ზოგან კაცი, გასატენი ბურთები კი სახსენებლად არაა. სამედიცინო მონაცემების თანახმად, ფეხბურთელის ფეხის, მენჯის, ტანისა და კისრის კუნთების ძალა ისედაც მნიშვნელოვნად აღემატება სპორტსმენისთვის საშუალო დონეს და, ამდენად, დამატებითი „საკვები“ აღარ სჭირდება. ამიტომ ჩვენ არც ისე დიდი მომხრენი ვართ შტანგისა. მაგრამ ფეხბურთელის მხრის სარტყელისა და ხელების კუნთების განვითარება თამაშის სპეციფიკის წყალობით ნაკლებია. სწორედ აქ უნდა დავიხმაროთ შტანგა, ან უფრო უკეთესი — გასატენი ბურთი.

რაც მთავარია, ჩვენ ვალდებული ვართ დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი მეცადინეობებსა და ფიზიკურ მომზადებაში ჩამორჩენას შორის. სტატუს-ქვოს შენარჩუნება იმ საბაბით, თითქოს ქართველებს უბრალოდ წვრთნა არ უყვართ და სპეციალური ვარჯიშები მათთვის საჭირო არ არის, ნიშნავს დაჰყვე არასასურველ პრაქტიკას. ვისთვისაა იგი ხელსაყრელი? მხოლოდ იმ მწვრთნელებისთვის, ვინც მეცადინეობაში კონკრეტიზაციას გაურბის, რამდენადაც ამისთვის უფრო კონკრეტული ცოდნა და ჩაკირკიტებული წვრთნაა საჭირო. სხვა თამაში და სათამაშო სახეობები. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ მზადებაში და დიდი სარგებლობაც მოაქვთ გამოცდილი კაცის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული არასასურველი პრაქტიკა მთელი საგანძურია მათთვის, ვისაც მხოლოდ ზოგადად შეუძლია მეცადინეობის ჩატარება, ოღონდ სასტვენი ჰქონდეს. მაგრამ ასეთები ერთეულები არიან. საზოგადოდ კი ჩვენს მწვრთნელებს სულითა და გულით უყვართ თავიანთი საქმე. და თუ ფიზიკური მომზადების დონე მაინც დაბალია, ამაში მწვრთნელები მაინცდამაინც არ არიან დამნაშავე. ბრალი მიუძღვის უმეტესად მავნე ტრადიციას, რომელიც მათზე გავლენას ახდენს და რომელიც უნდა მოისპოს. ეს მავნე ტრადიციები მეღავნდება არა მარტო მიზანდასახული, დეტალიზებული მეცადინეობისადმი გულგრილობაში, არამედ გულმოდგინე, ჩაკირკიტებული მუშაობის უნარის უქონლობაშიც.

ჩვენ მივეჩვიეთ ბუნებრივი მონაცემების ხარჯზე ფონს გასვლას. ტექნიკა, მაგალითად, ჩვენი კოზირია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, ონეგინისა არ იყოს, აქაც ვცდილობთ მაინცდამაინც ბევრი სწავლით თავი არ შევიწუხოთ. განა შეიძლება ისწავლო ბევრი, თუ ბურთთან კონტაქტებს სიხშირე და სიმჭიდროვე აკლია, თუ კონკრეტულ ამოცანას არ დაისახავ და მეცადინეობისთვის მთელ ძალას არ მოუყრი თავს?

ეს ხშირად მოვიგა-აზრად, როცა უყურებ წყვილთა ვარჯიშს ტექნიკის დასახვეწად, რომელიც მატჩის წინ ფეხბურთელთა მოთვლვას უფრო მოგაგონებთ. და საერთოდ, როცა ტექნიკაში წვრთნას აკვირდები, უნებურად ფიქრობ: ხომ არა აქვს მას მეტისმეტად დიდი ხარვეზები, ტექნიკის მთელ არსენალს ვაქცევთ თუ არა ყურადღებას? ამას გარდა, მოგვაჩნია, რომ ჩვენში ძალიან იშვიათად და როგორღაც სხვათა შორის ურტყამენ კარისკენ იმ უბრალო გაგებით, როცა ფეხბურთელები ბადის წინ იჭერენ პოზიციას და კოლექტიურად ცხრილავენ მას. აქვე მინდა დავუთრთო, თუმცა ეს სხვა ამბავია, რომ არც სხვადასხვა ორი და სამსვლიანი ტაქტიკური ამოცანების დამუშავებაა დროის დაკარგვა.

ბურთზე მუშაობას და ტექნიკის სრულყოფისთვის შესაბამის პირობებს დამხმარე ინვენტარიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. რატომ არა გვაქვს კედლები — ტექნიკის მიზანდასახული, ინდივიდუალური სრულყოფის საუკეთესო საშუალება? რატომ არა გვაქვს საკიდი მოწყობილობა ბურთისთვის, რაც ფეხბურთელს თავურ დარტყმაში ინტენსიური ვარჯიშის საშუალებას მისცემდა? რატომ არ არის გადასატანი კარი? რატომაა, რომ ჩვეულებრივ ბიგებსაც ყველგან ვერ ნახავთ?

ჩვენთვის იოლია ზედაპირული წვრთნა, რაღაც შედეგებს მაინც ვაღწევთ, რადგან, ვიმეორებ, ქართველი ფეხბურთელები ბუნებით ნიჭიერი და, მიუხედავად ყველაფრისა, მაღალტექნიკური არიან. მაგრამ განა არ არის დრო საკუთარ თავს ვკითხოთ, რა შეგვეძლო და რა მოვიპოვეთ? ერთი სიტყვით, საჭიროა უფრო გულმოდგინე, უფრო ნაყოფიერი მუშაობა. ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ყველაზე არსებითი ესაა: არ გავაღარიბოთ მეცადინეობა, არც თეორიული და არც, მით უმეტეს, პრაქტიკული.

ბოლოსდაბოლოს მომწიფდა და დღის წესრიგში დადგა პრაქტიკულ მეცადინეობათა წვრთნის სწორი ორგანიზაციის კიდევ ერთი საკითხი: მზადების უამრავი ობიექტი და საშუალება, მასალის დიფერენცირებული და კომპლექსური ათვისება, წვრთნის ინდივიდუალური და კოლექტიური ამოცანები — მეცადინეობის რომელი სტრუქტურა უფრო მიზანშეწონილია ასეთი მრავალფეროვნების დროს? ალბათ ის, რომლის გენერალური წყალგამყოფიც გაადვილ წვრთნის ინდივიდუალური და კოლექტიური ამოცანების ხაზს. მით უმეტეს, აშკარაა, რომ, ფიზიკური თვისებებისა და ტექნიკის სპეციალური ვარჯიშების გზით სრულყოფა ღრმად ინდივიდუალური საქმეა და მით უფრო დიდ ეფექტს იძლევა, რაც უფრო ინდივიდუალიზებულია. ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი ფეხბურთელებში თავისთავზე დამოკიდებული მუშაობის უნარის გამომუშავება. ახლა ჩვენთვის არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საწვრთნელ მეცადინეობათა თვალსაზრისით გარდაქმნა.

საჭიროა შესაძლებლობისამებრ დღეში ორი მეცადინეობისკენ ავიღოთ კურსი. პირველ მეცადინეობაზე უმეტესად ინდივიდუალური წვრთნის, სხვადასხვა თვისების (გარდა ამტანობისა) და ტექნიკის გასავითარებლად დამოუკიდებელი მუშაობის ამოცანები უნდა გადაწყდეს. მეორე მეცადინეობაზე გადაიჭრება უკვე საერთო მომზადების ორგანიზაციაზე (სპეციალური ვარჯიშები, ორმხრივი თამაში) დაფუძნებული ამოცანები.

კიდევ ერთი რამაა ცხადი: ახლა არ შეიძლება ბრმად ვარჯიში და თამაში. ფეხბურთელს მოეთხოვება წვრთნის მეთოდიკის საფუძვლების, სამედიცინო და პედაგოგიური კონტროლისა და თვითკონტროლის საფუძვლების ცოდნა, რაც მით უმეტეს აუცილებელია დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს. ფეხბურთელმა ყველა სიახლე უნდა იცოდეს, რადგან ეს ყველაფერი ხელს უწყობს მისი ოსტატობის ზრდას. ოსტატთა გუნდებში ამიტომაა შემოღებული თეორიული მეცადინეობა. მიუტევებელია, რომ სინამდვილეში ეს მეცადინეობები არ ტარდება. მთელ „თეორიას“ თამაშისწინა მითითებები და მერე კი მატჩის გარჩევა შეადგენს.

* * *

„ბ“ კლასში ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენ გვსურს. ვინაა დამნაშავე? როგორც ჩანს, ბრალი ყველას მიგვეძღვის — ადგილობრივ სპორტულ ორგანიზაციებსაც, რომლებსაც გუნდები ემორჩილებიან, მწვრთნელებსაც, რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციასაც, მის მეთოდურ საბჭოსაც, რუსეთის ფეხბურთის ფედერაციასაც. ეს უკანასკნელი ასპარეზობის ორგანიზატორი და, ფაქტიურად, „ბ“ კლასში შექმნილი ვითარების წარმმართველია, მაგრამ ჩვენს გუნდებს გერგებივით ექცევა.

ნათქვამია: ცხრა ძიძის ხელში ყმაწვილი დამპხინჯდაო. დამნაშავეა საერთო პირობები, რომელთა გამო ჩვენს „ბ“ კლასს ამდენი „ძიძა“ ჰყავს, გუნდები კი გათიშულია და ყველა თავთავისთვის ცხოვრობს. პირველ ყოვლისა, ის უნდა გაკეთდეს, რომ „ბ“ კლასი მთლიანად ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის მზრუნველობაში გადავიდეს, საქართველოში ამ კლასის გათამაშება დამოუკიდებლად ჩატარდეს. ასეა თუ ისე, ჩვენ ყველას გვსურს საქმე გამოსწორდეს და რაკი გვსურს, ასეც იქნება.

ვ. ოდივანი.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 125, 128.

გათამაშების ცხრილი

რსფსრ-ს III ზონა

მდგომარეობა 9 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა“ (გორი)	18	11	5	2	28—9	27
„შრ. რეზერვები“ (კურსკი)	18	11	3	4	26—6	25
„ხიმიკი“ (ბალაკოვო)	18	8	9	1	16—6	25
„ეროფეი“ (მაიკოპი)	18	9	4	5	26—11	22
„სპარტაკი“ (ბელგოროდი)	17	9	4	4	24—11	22
„სპარტაკი“ (ორიოლი)	18	7	7	4	19—14	21
„ტორპედო“ (არმავირი)	18	7	7	4	19—16	21
„ეროფეი“ (ლაბინსკი)	17	7	7	3	10—9	21
„დაშკინი“ (ზაქათალა)	18	8	4	6	19—27	20
„მეტალურგი“ (რუსთავი)	18	8	3	7	15—13	19
„ენერგია“ (ვოლუსკი)	18	6	6	6	15—13	18
„ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური)	17	6	6	5	16—16	18
„ეროფეი“ (სლავიანსკი)	18	6	6	6	17—18	18
„ალაზანი“ (გურჯაანი)	18	7	3	8	20—20	17
„ეროფეი“ (სვეტლოგრადი)	19	3	8	8	14—21	14
„ეროფეი“ (ალექსანდროვსკაია)	18	4	5	9	11—18	13
„ხიმიკი“ (ნევინომისკი)	18	4	5	9	11—21	13
„ტრუდი“ (ენგელსი)	16	3	6	7	10—16	12
„ეროფეი“ (ლენინგრადსკაია)	18	2	8	8	9—21	12
„არაზი“ (ნახიჩევანი)	18	4	3	11	14—26	11
„ურალანი“ (ელისტა)	19	1	4	14	18—33	6

თბილისელები თინა ლეკვეიშვილი, მალინა ღიბრაძე და ვიქტორია ანიკინა სპორტმა დაამეგობრა. ბავშვობიდანვე სამივემ ცურვა ირჩია, გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით მუუაითად ვარჯიშობდნენ და სასურველ შედეგებსაც მიაღწიეს: კარგა ხანია საქართველოს ნაკრებში ჩაირიცხნენ, ტურნირებში კი მუდამ საპრიზო ადგილებს იკავებენ.

ხურათზე ეს სამი მეგობარია აღბეჭდილი (მარცხნიდან): ანიკინა, ლეკვეიშვილი და ღიბრაძე. ფოტო ი. იუნაევისა.

ივლისის კალენდარი

„ბ“ ჯერი

საქართველოს გუნდებისთვის

რსფსრ-ს III ზონა

14. „ეროფეი“ (სლავიანსკი)— „ალაზანი“ (გურჯაანი), „ხიმიკი“ (ნევინომისკი) — „დილა“ (გორი), „ეროფეი“ (ლენინგრადსკაია) — „მეტალურგი“ (რუსთავი).

29. „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური), „დილა“ — „დაშკინი“ (ზაქათალა), „ალაზანი“ — „არაზი“ (ნახიჩევანი).

რსფსრ-ს IV ზონა

10. „შუქურა“ (ქობულეთი)— „მერცხალი“ (მახარაძე), „კახეთი“ (თელავი) — „ირისთონი“ (მოზდოკი), „დინამო“ (სოხუმი) —„სპარტაკი“ (ცხინვალი), „ენგურა“ (ხუგდიდი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა), „კოლხეთი“ (ფოთი) — „ლორი“ (კიროვაკანი).

14. „გურია“ (ლანჩხუთი) — „შუქურა“, „კახეთი“ — „მაშუკი“ (პიატიგორსკი), „მაღაროელი“ — „კოლხეთი“, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ენგური“, „ლორი“ — „დინამო“ (სოხუმი).

29. „მაღაროელი“ — „არაქსი“ (ეჩმიაძინი), „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი), „მაშუკი“ — „დინამო“ (სოხუმი), „ირისთონი“ — „ენგური“, „ეროფეი“ (გროზნო) — „კოლხეთი“, „შუქურა“ — „ნარზანი“ (კისლოვოდსკი), „მერცხალი“—„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი), „გურია“—„ეროფეი“ (ტრიბსკი), „ეროფეი“ (დერბენტი) — „კახეთი“.

ოთხი სერიის შემდეგ

ოთხი სერიის შემდეგ ჩვენი კონკურსის ლიდერმა გ. კაკაურიძემ (თბილისი) შეინარჩუნა ერთპიროვნული მეწინავეობა და ახლა 40 შესაძლებლიდან 40 ქულა აქვს.

ვაქვეყნებთ კონკურსის იმ დანარჩენ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის“ 4 სერიის ჯამში დააგროვეს:

39 ქულა — რ. კაპანაძე, თ. ლებანიძე, გ. ლორთქიფანიძე, გ. ხარაზიშვილი, დ. ჯავახიძე, ფ. ჯანყარაშვილი, ე. ჯიჯიაშვილი (ყველა — თბილისი).

38 ქულა — ნ. ბაკრაძე, ჯ. ბაშელეიშვილი, ა. ბესიაშვილი, ნ. ელერდაშვილი, რ. თავაძე, ჯ. თხელიძე, გ. კვაჭაძე, თ. ლოლომაძე, ჯ. მარკარიანი, ბ. ტაბიძე, ა. ტაკიძე, ა. ფაჩუაშვილი, გ. ჩეკურიშვილი, მ. ხაჭაპურიძე, ი. მამისთვალოვი, ჯ. ხუციბერიძე, ზ. მაკარიძე (ყველა — თბილისი), ი. ბუზიაშვილი, ა. მელქაძე, ზ. შალამბერიძე, დ. ჩიკვაშვილი, დ. ჯანაშვილი (ყველა — ქუთაისი).

37 ქულა — ი. და ლ. ადამაშვილები, გ. ახალაძე, კ. ბერიძე, მ. ზაქარაია, პ. კემულარია, ა. კეკელიძე, ნ. მასტიაშვილი, დ. ნაცვლიშვილი, კ. ოდიკაძე, ი. პაროშინი, თ. ღვინეფაძე, ჯ. ძაგანია, დ. ხიდეშელი (ყველა — თბილისი), თ. ალფაიძე, მ. შალამბერიძე (ორივე — ქუთაისი), გ. ახრახაძე (წყალტუბო), ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია).

36 ქულა — ჯ. ამაშუკელი, გ. ბასილაშვილი, რ. მიქაშავიძე, გ. ფოცხვერაშვილი, ვ. ხვიტია, გ. ჯაფარიძე (ყველა — თბილისი), ვ. ბეღელაძე (ზესტაფონი), შ. ბიბილეიშვილი (წყალტუბო), მ. სოფრომაძე, რ. ულენტი (ორივე — ქუთაისი), ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი).

35 ქულა — ჯ. მჭედლიშვილი, თ. სიხარულიძე, ზ. ქუთათელაძე (ყველა — თბილისი), გ, ბიძინაშვილი (რუსთავი), ი. გელოვანი, გ. მელქაძე (ორივე — სამტრედია), ვ. ზენაიშვილი, გ. ლაბაძე, დ. ფაჩუაშვილი, ე. ხიშტოვანი (ყველა — ქუთაისი), ა. მელაძე (აბაშა).

34 ქულა — მ. მამისთვალოვი, გ. ხახიაური (ორივე — თბილისი), გ. აბურჯანია, ბ. ბასილაია (ორივე — ფოთი), ნ. გიგოლაშვილი (რუსთავი), მ. გოგიძე (გლდანი).

33 ქულა — რ. იდოიძე, ტ. მღვდელაძე, ვ. ოსკანოვი (ყველა — თბილისი), ვ. თუზბაია, ნ. წურწუმია (ორივე — სოხუმი), ნ. მაქაცარია (ზუგდიდი), ჯ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი), ზ. წიკლაური (თელავი), მ. ჯავახაძე, რ. სეფიაშვილი (ორივე — ქუთაისი).

32 ქულა — ნ ასათიანი, ჯ. ღვინიაშვილი, ნ. წერეთელი, უ. ხუნდაძე (ყველა — თბილისი), ვ. არდაზიშვილი, ლ. გონჯილაშვილი (ორივე — თიანეთი), ჯ. გოგია (ზუგდიდი), ი. ჭეჭვაშვილი (აზერბაიჯანის სსრ, სოფ. ალიბეგლო), ა. დარჩია, ჯ. დიასამიძე (ორივე — ბათუმი).

ვაქვეყნებთ შემდეგი სერიების კითხვებს:

მეხუთე სერია

1. რომელ წელს დაწესდა „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის“ წოდება და ვინ იყვნენ მისი პირველი ლაურეატები?
2. დაასახელეთ ჰიმალაის ქედის მთის მასივი, რომლის უმაღლესი მწვერვალი ზღვის დონიდან 8.125 მეტრია. ვინ და როდის დაიპყრო იგი პირველად?
3. დაასახელეთ მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს ის ჩემპიონები, რომლებმაც დაუმარცხებლად დატოვეს რინგი. რომელ წლებში ეპყრათ მათ უმაღლესი ტიტული?
4. ვისთან და რომელ წელს გამართა თავისი პირველი საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა?
5. ზამთრის რომელ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა ცნობილმა ნორვეგიელმა ფიგურისტმა სონია ჰენიმ და როგორი შედეგებით?
6. ვინ მიიღო პირველად სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება ჭადრაკში და რომელ შეჯიბრებაში წარმატებისთვის?
7. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, რომელ სახეობებში შეინარჩუნეს საბჭოთა სპორტსმენებმა I ადგილები ყველა შემდგომ ოლიმპიადაში?
8. პირველად რომელ წელს გათამაშდა მსოფლიოს თასი ფრენბურთში ვაჟთა შორის და პირველად რომელ წელს მიიღეს მასში მონაწილეობა საბჭოთა სპორტსმენებმა?
9. დაასახელეთ ყველა ის საბჭოთა სპორტსმენი, ვინც ზაფხულის ოთხივე ოლიმპიურ თამაშებში (ჰელსინკი, მელბურნი, რომი, ტოკიო) მიიღო მონაწილეობა, რა შედეგებით იასპარეზეს მათ?
10. ვინ არის აღბეჭდილი ამ სურათზე და ყველაზე დიდ წარმატებას რომელ შეჯიბრებაში მიაღწია მან?

მეექვსე სერია

1. რომელ წელს აფრიალდა პირველად ოლიმპიური დროშა ერთმანეთზე გადაწნული სხვადასხვა ფერის რგოლებით? რამდენი რგოლია და რატომ არიან ისინი სხვადასხვა ფერისა?
2. ჩაითვლება თუ არა გოლი, თუ 11-მეტრიანი დარტყმის შემდეგ ძელიდან ასხლეტილი ბურთი კარში გაიტანა თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა მოთამაშემ?
3. დაასახელეთ ფეხბურთელი, რომელიც ყველაზე მეტჯერ გამოდიოდა სსრ კავშირის თასზე გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში.
4. როდის მიიღეს პირველად მონაწილეობა საბჭოთა მძლეოსანმა ქალებმა და ვაჟებმა გაზეთ „იუმანიტეს“ ტრადიციულ საერთაშორისო კროსში, რა შემადგენლობით და როგორი შედეგებით იასპარეზეს?
5. რომელი წლიდან ტარდება პროფესიონალ ველოსიპედისტთა უდიდესი შეჯიბრება ტურ დე ფრანსი, ყველაზე მეტჯერ ვინ და როდის გაიმარჯვა ამ რბოლაში?
6. დაასახელეთ საქართველოსა და თბილისის პირველი ჩემპიონები ჭადრაკში ვაჟთა და ქალთა შორის. ამჟამად ვინ არიან ჩემპიონები?
7. ვინ არის მსოფლიოს რეკორდსმენი ბადროს მტყორცნელ ქალთა შორის, რას უდრის და როდისაა დამყარებული მისი რეკორდი?
8. რომელი წლიდან ატარებს ევროპის კონტინენტი თავის პირველობებს ფიგურულ ციგურაობაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის და ყველაზე მეტჯერ რომელმა სპორტსმენებმა მოიხვეჭეს ჩემპიონობა?
9. ოლიმპიური თამაშების საუკეთესოდ მოწყობისთვის რომელმა ქალაქებმა დაიმსახურეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო თასები?
10. ვინ არის აღბეჭდილი ამ სურათზე და სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენელია იგი?

მეხუთე და მეექვსე სერიების კითხვებზე პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა I სექტემბერი (იგულისხმება საფოსტო განყოფილების შტემპელი).

პასუხები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს“ რედაქცია, „სპორტული უნივერსიტეტი-68“.

კონკურსის მონაწილეთ ვთხოვთ პასუხებს სახელთან და გვართან ერთად მიაწერონ თავიანთი მისამართი; კონვერტში ჩადონ ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი მხოლოდ სპეციალური შესაბამისი კუპონები 5 და 6, რომლებიც კითხვების სერიებს ერთვის (წინაადმდეგ შემთხვევაში პასუხები რეგისტრირებული და განხილული არ იქნება).

სპასკი — ლარსენი 2:0

ბალმე, 9 ივლისი. „ამას არავინ მოელოდა“, „რას გვპირდებოდა დანიის უგვირგვინო პრინცი და რა ხდება!“ — ასე ასათაურებენ ჟურნალისტები თავიანთ წერილებს ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — ბ. სპასკისა და ბ. ლარსენის ნახევარფინალურ მატჩში დანიელი დიდოსტატის პირველი ორი პარტიის წაგების შემდეგ. მართლაც, მოულოდნელია სტარტზე ლარსენის ესოდენ დიდი წარუმატებლობა.

I პარტიის წაგებამ ლარსენი აგრესიულად განაწყო. რევანში წყუროდა, მით უმეტეს, რომ II პარტიაში თეთრებით იყო. მძაფრმა შეტევამ მხოლოდ გული დაწყვიტა თვითონ მას. სპასკიმ აუღელვებელი დაცვით ჩაახშო მისი იერიში და პაიკიც მოიგო. მეორე დღეს საბჭოთა დიდოსტატს მხოლოდ 7 სვლა დასჭირდა, ლარსენი რომ წინააღმდეგობის უიმედობაში დაერწმუნებინა.

მოგება თუ ყაიმი?

მოსკოვი, 9 ივლისი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — მ. ტალისა და ვ. კორჩნოისა — ნახევარფინალური მატჩის გუშინდელი, VII პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ბრძოლა სიცილიური დაცვით დაიწყო. კორჩნოიმ (შავები) მეტოქეს იერიშის შესაძლებლობა არ მისცა. მან ბევრი ფიგურა გაცვალა და თამაში გაამარტივა. მიუხედავად ამისა, თანაბარი პოზიციის შესანარჩუნებლად კორჩნოის მაინც დიდი შეუპოვრობა დასჭირდა. მან მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, როცა ცენტრალური უჯრების კონტროლის საშუალება მიიღო.

პარტია გადაიდო. ენდშპილში ტალი პატარა უპირატესობას ინარჩუნებს. შესაძლებელია თუ არა მისი რეალიზება, ამას საშინაო ანალიზი ცხადყოფს.

ორთაბრძოლის ანგარიში (3,5:2,5 კორჩნოის სასარგებლოდ) ჯერჯერობით უცვლელია. 10 ივლისს შედგება VIII პარტია.



● **ნიკოლი**, 7 ივლისი. „ვარსკვლავისებურ“ კლასში ევროპის ჩემპიონი გახდა შვეიცის აფროსანთა ეკიპაჟი (მესაჭე პ. პეტერსონი). საბჭოთა სპორტსმენებმა ტ. პინეგინმა და ფ. შუტკოვმა IV ადგილი დაიკავეს.

● **ანკარა**, 8 ივლისი. რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტთა ნაკრებმა გაიმარჯვა საერთაშორისო რბოლაში — „თურქეთის ტურში“. ამ საინტერესო შეჯიბრების ბოლო, XIV ეტაპი ა. კულიბინმა, ნ. ფადეევმა, გ. საიდხუინმა და ე. სავინმა ისე მოიგეს, რომ საათზე მეტი დროით ჩამოიტოვეს II ადგილზე მყოფი ჰოლანდიელები. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა გორკელმა კულიბინმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ VI ეტაპის შემდეგ მას ლიდერის მაისური აღარ გაუხდია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაუგრძნობს შ. მანჯავიძეს მეუღლის
მარგო კონსტანტინეს ასულ ჩხეტიანის
გარდაცვალების გამო.